პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- მარტი

ქ. წყალტუბო

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2026 წლის 20 თებერვლის სხდომის ოქმი №2), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლას მიენიჭოს ავთანდილ ჭეიშვილის სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: ნიკა მჟავია

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანო ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

26/02/2026

MES 8 26 0000230613

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დირექციის N194187 წერილი - სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

"საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №194 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის 4^1 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივას და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს შესაბამის სხდომის ოქმს.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესაებ. (იხ. მიბმული ფაილები)

პატივისცემით,

რესურსცენტრის უფროსი
ჩხეტიანი მამუკა

მისამართი: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქ. N25 ტელ: (0436) 22 24 46 ელ. ფოსტა: tskaltubo@mes.gov.ge

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა

LEPL Tskaltubo Municipality Village Kvitiri Public School

20/02/2026

MES 3 26 0000194187

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ მამუკა ჩხეტიანს

ბატონო მამუკა,

მოგახსენებთ, რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დირექცია ყურადღებით აკვირდება, ეცნობა, აანალიზებს და ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების აზრს, რომელიც ეხება სკოლის აქტუალურ საკითხებს. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის აწ უკვე გარდაცვლილი ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭებას. სოფლის მოსახლეობა და პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს აღნიშნულ საკითხს და დირექციისგან ითხოვს საკითხის ინიცირებას.

დირექციამ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა ბატონი ავთანდილ ჭეიშვილის სკოლაში 45 წლიანი მოღვაწეობა, საცავში არსებული დოკუმენტები, თანამედროვეთა და თანასოფლელთა მოგონებები და უნდა აღინიშნოს ,რომ ამდენი ხნის შემდეგაც სოფლის მოსახლეობა უდიდესი მოკრძალებით და დიდი სიყვარულით იხსენებს ბატონ ავთანდილ ჭეიშვილის ღვაწლს სკოლის განვითარების საქმეში. თანამედროვეთა მონათხრობით ირკვევა, რომ მისი დამსახურებები აღნიშნულია წოდებებით მათ შორის:

,, სახალხო განათლების წარჩინებული“.

,, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი“ .

შესწავლილმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ ბატონი ავთანდილ ჭეიშვილი მართლაც გამორჩეული და ღირსეული პიროვნება იყო, რომლის სახელი ნამდვილად იმსახურებს უკვდავყოფას. აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დირექციამ ინიციატივით მიმართა სკოლის სამეურვეო საბჭოს, სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. სამეურვეო საბჭომ განიხილა საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება (იხილეთ თანდართული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N-2)

ბატონო მამუკა, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან რათა, საკრებულომ განიხილოს სკოლისათვის სახელის მინიჭების საკითხი.

წერილს თან ერთვის:

1.სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N-2

2. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დირექციის ოქმიN-1

მის/Adress: საქართველო, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი ქვიტირი ტელ/Tel: 593 12 22 45
Georgia Tskaltubo Municipality Villlage Kvitiri@mes.gov.ge

3. ავთანდილ ჭეიშვილის ბიოგრაფია.

პატივისცემით,

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი / წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა
დირექტორი
ნიქაბაძე ალექსანდრე

ელექტრონული
მზამედესმეული
ელექტრონულად

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი N2

სოფელი ქვიტირი 20 თებერვალი 2026 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. მაია ბაჯაძე - პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელი;
2. გია ჩოგოვაძე- პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელი;
3. ქეთევან ცერცვაძე- პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელი;
4. ცელენა ბაბუნაშვილი- I საფეხურის მშობელთა წარმომადგენელი;
5. მზია ცნობილაძე - II საფეხურის მშობელთა წარმომადგენელი;
6. თამარ ქვაჩაკიძე- III საფეხურის მშობელთა წარმომადგენელი;
7. დავით ზვიადაძე - წევრი- მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

სხდომას, აგრეთვე, ესწრებოდა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დირექტორი ალექსანდრე ნიქაბაძე.

სხდომის თავმჯდომარე - მაია ბაჯაძე;
სხდომის მდივანი - გია ჩოგოვაძე;

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი (მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

დღის წესრიგი:

საკითხი N1. *სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.*

მომხსენებელი: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე-მაია ბაჯაძე.

კენჭი ეყარა წინადადებას სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 7 (შვიდი)
წინააღმდეგი: (არცერთი).
თავი შეიკავა: (არცერთი).

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

აკითხი N1. *სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.*

მომხსენებელი: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე-მაია ბაჯაძე.

მოისმინა: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით. მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ 2026 წლის 17 თებერვალს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში შემოვიდა სკოლის დირექციის განცხადება, რომლითაც ითხოვს სამეურვეო საბჭომ განიხილოს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისათვის სოფლის მკვიდრი, ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის აწ გარდაცვლილი ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხი. განცხადებას თან ერთვის დირექციის ოქმი N1 და ავთანდილ ჭეიშვილის ბიოგრაფია.

თავმჯდომარემ მაია ბაჯაძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ თანახმად , სკოლისათვის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხს განიხილავს სამეურვეო საბჭო.

ქალბატონმა მაიამ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის მე-2 მუხლის თანახმად, სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ:
ა) სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი, საერო ან სასულიერო პირის სახელი.
ბ) სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი სახელი.
გ) სკოლაში დანერგილი სასწავლო პროგრამის ან მეთოდიკის სახელი.
დ) ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი, საერო ან სასულიერო პირის სახელი, რომლის გარდაცვალების დღიდან გასულია სულ მცირე 20 წელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ბატონი ავთანდილ ჭეიშვილი სრულად აკმაყოფილებს მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის კრიტერიუმებს. მას თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ეროვნული მასშტაბით ქვეყნის განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში.

აზრი გამოთქვა: გია ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ ავთანდილ ჭეიშვილი თითქმის 45 წლის მანძილზე, 1942 წლიდან 1985 წლამდე, თავკაცობდა ჩვენს სკოლას. მიუძღოდა სასახელოდ, მაღალი პროფესიონალიზმით. მისი ხელმძღვანელობით ქვიტირის სკოლა მოწინავეთა რიგებში ჩადგა მთელს რესპუბლიკაში. მან ბევრი რამ გააკეთა ამ სკოლის საქვეყნო ასპარეზზე გასვლისთვის. მის მიერ დანერგილი სიახლენი ხშირად გამხდარა საქვეყნოდ მსჯელობის საგანი. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები სისტემატურად ქვეყნდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. გასული საუკუნის 70-იან წლებში ავთანდილ ჭეიშვილს მიენიჭა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ და საქართველოს დამსახურებული

პედაგოგის წოდება. 1974 წელს დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. მონაწილეობდა მასწავლებელთა მე-3, ყრილობის მუშაობაში. რამდენჯერმე არჩეული იყო წყალტუბოს საქალაქო საბჭოს დეპუტატად , ხელმძღვანელობდა რაიონის განათლების და კულტურის მუდმივ კომისიას.

ბატონმა ავთანდილმა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდა თაობის აღზრდას შეალია, ამიტომ სასურველი იქნება დავიწყებას არ მიეცეს მისი სახელი და მისაბაძი გახდეს ქვიტირის სკოლაში დღეს მოღვაწე პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის, სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით-განაგრძო მომხსენებელმა- „მიმაჩნია, რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლას მიენიჭოს მისი ყოფილი დირექტორის , ამავე სკოლის სულისჩამდგმელისა და გამოჩენილი პედაგოგის, ავთანდილ ჭეიშვილის სახელი“. მან ასევე მოუწოდა საბჭოს წევრებს მხარი დაეჭირათ აღნიშნული საკითხისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაია ბაჯაძემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე : 7 (შვიდი)
წინააღმდეგი: (არცერთი).
თავი შეიკავა: (არცერთი).

სამეურვეო საბჭომ დაადგინა:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლისთვის ავთანდილ ჭეიშვილის სახელის მინიჭება.
2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს მიღებული გადაწყვეტილება შესაბამის ოქმთან ერთად გადაეგზავნოს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 16:00სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: / მ.ბაჯაძე /

სამეურვეო საბჭოს მდივანი: / გ.ჩოგოვაძე /